გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 202

2023 წლის 10 ნოემბერი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.31.185.01.502), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის 2023 წლის 26 სექტემბრის N346 წერილის საფუძველზე, დადგა საკითხი ქალაქ გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქ. N8-ში (საკადასტრო კოდი N 66.45.31.185.01.502) მდებარე ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით, რადგან ორგანიზაციასთან გაფორმებულ ერთ წლიან უზუფრუქტის ხელშეკრულებას გაუვიდა მოქმედების ვადა და ორგანიზაციამ განაგრძოს სრულყოფილი ფუნქციონირება და მიმდინარე სოციალური პროექტების განხორციელება.

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკი 2018 წლიდან სარგებლობს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით (ს.კ. 66.45.31.185.01.502), რომელიც გადაცემული ჰქონდა პირობით, რომ ორგანიზაცა მოახდენდა აღნიშნული ფართის რეზილიტაციას და კეთილმოწყობას, რის შემდგომაც დაიწყებდა სხვადასხვა სოციალური პროექტების განხორციელებას. ორგანიზაციამ ,,ADRA - საქართველოს" დახმარებით აღნიშნულ ფართში მოახდინა სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები. მოაწესრიგა სველი წერტილები, ელექტროობა და საკანალიზაციო სისტემა. ასევე, აღიჭურვა ცენტრი საჭირო ავეჯით და ინვენტარით. 2019 წელს გარემონტდა აღნიშნული ფართის 70 %, სადაც დღემდე ხორციელდება ბავშვთა ადრეული განვითარების მომსახურეობის მიწოდება. ხოლო, 2022 წლის თებერვალის თვეში გარემონტა შენობის დარჩენილი ფართის 30 %, სადაც 2022 წლის აპრილის თვიდან ორგანიზაციამ დაიწყო რეაბილიტაცია/აბილიტაციის მომსახურეობის მიწოდება. 2019 წლის ოქტომბრიდან ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრმა დაიწყო ფუნქციონირება, სადაც ორგანიზაციას ცენტრში დასაქმებული ჰყავს 16 თანამშრომელი.
ცენტრის ბენეფიციარები არიან სხვადასხვა დიაგნოზის მქონე ბავშვები როგორიცაა: განვითარების ეტაპების შეფერხება, დაუნის სინდრომი, აუტისტური სპექტრის აშლილობები, ცერებრული დამბლა, შშმ სტატუსის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვები. ამჟამად ცენტრში ხორციელდება შემდეგი პროექტები:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ქვეპროგრამა - ბავშვთა ადრეული განვითარება (პროექტი გათვლილია 200 ბენეფიციარზე). აღნიშნულ ქვეპროგრამას ,,საზოგადოება ბილიკი" ახორციელებს 2017 წლიდან დღემდე. ბენეფიციართა რაოდენობა ამჟამად არის 161 ბავშვი. ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვარი არის 0 დან 7 წლამდე;

2. საქათველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის, ქვეპროგრამა რეაბილიტაცია/

3. აბილიტაცია. ამჟამად ბენეფიციართა რაოდენობა არის 26 ბავშვი. ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვარი არის 0 დან 18 წლამდე. აღნიშნული პროგრამის განხორციელება ორგანიზაციამ დაიწყო 2022 წლის აპრილის თვიდან;

4. გორის მუნიციპალიტეტის მერიის და „საზოგადოება ბილიკის" ერთობლივი თანადაფინანსების პროექტს „ხელი - ხელს", რაც ითვალისწინებს 4 სპეციალისტის ხელფასის ანაზღაურებას, ხორციელდება 2020 წლიდან დღემდე. პროექტი გათვლილია 120 ბენეფიციარზე. ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვარია 0 დან 7 წლამდე.

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკი პირნათლად ახდენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებას, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკს (ს/ნ 217889300) უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით ერთი წლის ვადით გადაეცეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი N66.45.31.185.01.502), ქალაქ გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქ. N8-ში I სართულზე მდებარე 319.04 კვ.მ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 1 (ერთი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკს (ს/ნ 217889300), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქალაქ გორში, შოთა ჩოჩიშვილის ქ. N8-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 319.04 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N66.45.31.185.01.502;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე